

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობის შესახებ

დავით ძამუკაშვილი

საქართველოს სამართლებრივი სამართლის სამართლის სექცია

ანოტაცია:

სასარგებლო მოდელის გაუქმებასთან დაკავშირებული კონკრეტული დავისა და დამკავიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სტატიის ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება აღნიშნული ხასიათის დავების განსჯადობის შესახებ. ავტორის აზრით პატენტებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გაუქმებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული სამოქალაქო-საპროცესო და არა ამინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი. ასეთ შემთხვევაში პირველ ინსტანციად ყოველთვის მოგვევლინება თბილისის საოლქო სასამართლო, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა სპეციალიზაციას და შესაძლებელს გახდის აცილებულ იქნეს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-საპროცესო ნორმების კოლიზია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები:

ინტელექტუალური საკუთრება პატენტი სასაქონლო ნიშანი სასამართლო დავა განსჯადობა.

ამ სტატიის დაწერა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულმა დავების განხილვის დღევანდელმა პრაქტიკამ გვიკარნახა. საქმე ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში დავები განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ზოგში კი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად, დავებს, პირველი ინსტანციით, ხან საოლქო სასამართლო იხილავს, ხან რაიონული. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სწორად არ გვესახება.

განსჯადობის სწორად დადგენისათვის საჭიროა გავერკვეთ თუ რა არის ინტელექტუალური საკუთრება იურიდიული გაგებით.

ერთი შეხედვით გასარკვევი არაფერია: ინტელექტუალური საკუთრება – საკუთრებაა, მაგრამ მისი ობიექტების მრავალფეროვნება და მათზე უფლებათა მოპოვების განსხვავებული წესი დროდადრო ხანგრძლივი პოლემიკის საბაზი ხდება. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ასე იყო, მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთსა და გერმანიაში. პოლემიკის მიზეზი სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული განსჯადობის დადგენა გახლდათ, ხოლო საგანი - პატენტის, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის, სამრეწველო ნიმუშის და ა. შ. ადმინისტრაციულ აქტად აღიარება - არ აღიარების გადაწყვეტა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს იურისპრუდენციისათვის ახალი ობიექტია - მისი არსებობა აღიარა სულ რამდენიმე წლის წინ მიღებულმა ეროვნულმა სამოქალაქო კოდექსმა, რის გამოც აღნიშნული სახის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა თავისებურება ჯერ კიდევ ღრმად გასაანალიზებელია.

როგორც ცნობილია ინტელექტუალური საკუთრება იყოფა ორ ნაწილად:

პირველს შეადგენს ისეთი სახის ობიექტები, რომლებზეც უფლებათა მოპოვება არ არის დაკავშირებული რაიმე ადმინისტრაციული ნების გამოვლენასთან. ასეთივეა საავტორო სამართლის ობიექტები: ნოუ-ჰაუ, სავაჭრო კაზმულობა, დომეინი, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და სხვ. შესაბამისად, მათთან დაკავშირებული ყოველგვარი დავა განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის მიხედვით;

მეორე ნაწილს ისეთი ობიექტები შეადგენს, რომლებზეც უფლებათა მოპოვება დაკავშირებულია გარკვეული ადმინისტრაციული პროცედურის შესრულებასთან. ეს ობიექტები სამრეწველო საკუთრებას ეკუთვნის და პატენტებს, სასაქონლო ნიშნებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და საფირმო სახელწოდებას წარმოადგენს. არსებობს აგრეთვე თავისი არსით ცალკე მდგომი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი – სელექციური მიღწევა “მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში”, რომელზეც უფლებათა მოპოვება ასევე ადმინისტრაციულ პროცედურასთან არის დაკავშირებული. ამასთან ერთ შემთხვევაში პროცედურა რთული და ხანგრძლივია “გამოგონების პატენტი, სასაქონლო ნიშანი, სელექციური მიღწევა”, მეორე შემთხვევაში ნაკლებად რთული და ხანმოკლე “სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, საფირმო სახელწოდება”.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით ძირითადად შეიძლება წამოიჭრას დავა:

- უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებით;
- უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით;

უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით სირთულე არ არსებობს, დავა კერძო სამართლებრივ ურთიერობებთან არის დაკავშირებული და საკითხი წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური სიტუაცია ჯერ შორს არის ნორმალური ვითარებისაგან, ასეთი სახის დავები მაინც არსებობს და განიხილება როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ. უფლებათა დარღვევის შესახებ დავის განხილვის დროს მოპასუხე მხარე იყენებს დაცვის მთავარ საშუალებას და ეჭვეჭვეშ აყენებს უფლებათა მოპოვების მართებულობას, მაგალითად, პატენტის გაცემის კანონზომიერებას. ასე მოიქცა ცნობილი ფირმა ”მერსედესი”, მან სარჩელი შეიტანა ვაკის რაიონის სასამართლოში საქართველოს მოქალაქის გივი ხოშტარიას სახელზე “საქპატენტის” მიერ გაცემული სასარგებლო მოდელის - “უკუხედვის სარკე” - პატენტის გაუქმების შესახებ. თუ

ეს იყო ”მერსედესის“ საპასუხო რეაქცია მის წინააღმდეგ უფლებათა დარღვევის შესახებ პატენტმფლობელის – გივი ხოშტარიას მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში აღმდენილი სარჩელზე. თუ ისაოლქო სასამართლომ შეაჩერა პროცესის განხილვა ვაკის რაიონის სასამართლოში საკითხის გადაწყვეტამდე ასეთი სიტუაცია შეიქმნან იმის გამო, რომ უფლებათა დარღვევის შესახებ სარჩელი იხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ხოლო მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის ცვლილებები, პატენტის გაუქმების თაობაზე სარჩელი რაიონული სასამართლოს განსახილველია. შესაბამისად ერთსა და იმავე საქმეზე, ერთსა და იმავე მხარეების მიუხედავად ორი სარჩელი არსებობს, მათი გაერთიანება კი შეუძლებელია, რადგანიერთი სარჩელი სამოქალაქო – სამართლებრივია, ხოლო მეორე – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი. თუ საკითხის მოუწესრიგებლობა ნათელია. უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებით სარჩელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად მიჩნევის პრეცედენტი დაუშვა საოლქო სასამართლომ ერთ-ერთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ დავის განხილვისას. თუ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ზამბახიძემ ჩათვალა, რომ სასაქონლო ნიშ-

ნის რეგისტრაციის გაუქმების დავა უნდა განხილულიყო ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვითი ორადგან სარჩელით მოპასუხედ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტი” იყო დასახელებული საქმე საოლქო სასა-მართლოს განსჯადად არ იქნა მიჩნეული და გადაეგზავნა ვაკის რაიონის სასამართლოს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ცესაკითხის ამგვარი გადაწყვეტის “მართებულობა” სხვა ანალოგიურ საქმესთან დაკავშირებითაკდაადასტურა უზენაესმა სასა-მართლომაც ბატონ იური ტაბუცაძის მიერ გამოტანილი განჩინებით.

გადაწყვეტილება ერთი შეხედვით სწორია, მაგრამ თუ საქმეს უფრო ღრმად ჩავ-წვდებით ორმაგ დასკვნამდე მივალთ.

აღნიშნულის დასასაბუთებლად მოკლედ მიმოვიზილავთ თუ რას წარმოადგენს უფლებათა მოპოვების პროცედურა, რომელსაც ატარებს, მაგალითად, “საქპატენტი” გა-მოგონების აღიარებასთან და მასზე პატენტის გაცემასთან დაკავშირებით და რას წარმო-ადგენს გაცემული დამცავი დოკუმენტი – პატენტი “ცესაკითხი იდენტურია სასაქონლო ნიშანთან, სასელექციო მიღწევასთან და საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებითაც”. პროცედურა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებას, რომელიც ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე მოწმდება ფორმალური მოთხოვნების შესრულება – საგანაცხადო მასა-ლების სისრულე და გაფორმება, დადგენილი საფასურის გადახდა, წარმომადგენლობის საბუთის არსებობა “თუ საქმეს წარმომადგენელი, მაგალითად, პატენტრწმუნებული უძ-ღვება” და სხვა. მეორე ეტაპზე ტარდება არსობრივი ექსპერტიზა – მოწმდება გამოგონე-ბის “სასაქონლო ნიშნის” შესაბამისობა კანონით დადგენილ პატენტუნარიანობის კრი-ტერიუმებთან. შეისწავლება არის თუ არა გამოგონება სრულად აღწერილი, რომ აღწე-რილობიდან, ფორმულიდან და ნახაზებიდან “თუ ისინი წარმოდგენილია” გამომდინა-რე მოცემული დარგის სპეციალისტისათვის ნათელი იყოს მისი განხორციელებადობა. თუ ეს მოთხოვნა დაცულია გამოიტანება გადაწყვეტილება ობიექტის დადგენის შესახებ და გრძელდება სხვა კრიტერიუმების შესწავლა, კერძოდიიწყება სიახლის შემოწმება. სა-ამისოდ ტარდება საინფორმაციო გამოკვლევა, რის საფუძველზეც შეირჩევა ანალოგები და იწერება დოკუმენტური დასკვნა. თუ სიახლის მოთხოვნა დაცულია, მუშავდება რე-ფერატი, აღწერილობა და სხვა მასალები, რომლებიც გადაეცემა გამოსაქვეყნებლად. გა-მოქვეყნების შემდეგ “საქპატენტი” ელოდება მესამე პირების შედავებას პატენტის გაცე-მის თაობაზე “იგივე სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში” 3 თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში არავინ აღმოჩნდა შემდავებელი, გაიცემა პატენტი “მოწმობა სასა-ქონლო ნიშანზე”. როგორც ვხედავთ პროცედურა წმინდა ადმინისტრაციულია და ითვა-ლისწინებს მრავალი ადმინისტრაციული აქტის მიღებას და ნებისმიერი მათგანი შეიძ-ლება გასაჩივრდეს. მაგალითად “საქპატენტმა” უარი უთხრა განმცხადებელს ფორმა-ლური მოთხოვნების ექსპერტიზის ეტაპზე და არ დაუდგინა განაცხადის შეტანის თარი-ღი – პრიორიტეტი. განმცხადებელს შეუძლია აღმრას სარჩელი და მოპასუხედ, რა თქმა უნდა “საქპატენტი” გამოვა. ასევე ექსპერტიზის ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან და-კავშირებით. მაშასადამე, თუ შევაჯამებთ ნათევამს, ცხადია, განმცხადებლის დავა “საქ-პატენტთან” ცალსახად ადმინისტრაციულ – სამართლებრივი იქნება. ასევე მანამ, სანამ არ გამოქვეყნდება. ინფორმაცია პატენტის გაცემის ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ და არ აღიძრება დავა მესამე პირის, მაგალითად, კონკურენტის მიერ. პატენტის გაცემასთან ან ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით თუ ზემოთ აღნიშნულ 3 თვის განმავლობაში “საქპატენტში” შევა შედავება, მას განიხილავს ამავე უწყების სპეციალუ-რი ორგანო – სააპელაციო პალატა, რომელსაც “საქპატენტის” გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს.

შედავება წარმოადგენს თხოვნის “საქპატენტისადმი” რომ არ იქნეს გაცემული პატენტი “ან არ იქნეს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი” შესაბამისი არგუმენტაციისა და მტკიცებულებების მოტანით. სპეციალური ორგანო – სააპელაციო პალატა, რომელ-საც “საქპატენტი” მხარე არ არის - იგი საკითხს სჯის, ხოლო ერთმანეთს განმცხადებელი და შემდავებელი ეპაქტება. აქედან ჩანს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეს იხილავს ადმინისტრაციული ორგანო, მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იგი ძირითადად შეიცავს სამოქალაქო სამართლებრივი პროცესის ელემენტებს - მოდავე მხარეთა პაექტობას. თუ, რომელიმე მხარე არ დაკმაყოფილდა “საქპატენტის” სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, იგი მიმართავს სასამართლოს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი წესით, რადგან საჩივრდება ადმინისტრაციული აქტი - “საქპატენტის” გადაწყვეტილება.

პატენტის გაცემის “სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის” შემდეგ საქმე ადმინისტრაციულ აქტთან აღარა გვაქვს. საქმე საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულ საკუთრების ობიექტთან - პატენტთან ან სასაქონლო ნიშანთან გვაქვს. შესაბამისად, ნებისმიერი დავაუკვე გაცემულ პატენტთან ან რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით აღარ შეიძლება მიკუთნებულ იქნეს ადმინისტრაციულ – სამართლებრივი პროცესით განსახილველთა რიცხვს. ამ დასკვნას ცალსახად ადასტურებს ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საქმეზე ”“მერსედესი” “საქპატენტის” წინააღმდეგ”. როგორც აღვნიშნეთ მოპასუხედ ”საქპატენტი” იყო მითითებული მოსარჩევეს მიერ. საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ პაექტობა ფაქტობრივად ”მერსედესსა” და პატენტმფლობელს შორის მიმდინარეობდა, ხოლო საკითხი, რომელზეც ”საქპატენტს” პასუხი უნდა გაეცა, არ გამოიკვეთა. ”საქპატენტმა” საპატენტო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გასცა სასარგებლო მოდელის პატენტი, ხოლო მოსარჩევემ ამავე კანონზე დაყრდნობით მოითხოვა პატენტის გაუქმება იმ მტკიცებულების წარმოდგენით, რომლის მიხედვითაც ასაბუთებდა, რომ განაცხადის შეტანის თარიღისთვის სასარგებლო მოდელს სიახლე არ გააჩნდა. ”საქპატენტმა” პროცესზე განაცხადა, რომ იგი დაეთანხმება ნებისმიერ სასამართლო გადაწყვეტილებას და პაექტობაში არ ჩაება იმის გამო, რომ არანაირი იურიდიული ინტერესი მას არ გააჩნდა საამისოდ. საქმე საკუთრების უარყოფას ეხებოდა და არა ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას. მოსარჩევე ხომ პატენტის გაცემას ასაჩივრებდა და არა ”საქპატენტის” გადაწყვეტილებას სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ვერ გასაჩივრდებოდა იმდენად, რამდენადაც იგი გამოტანილ იქნა ჯერ კიდევ 1997 წელს. მოუსმინა რა მხარეებს მოსამართლე ქალბატონმა ალა კახნიაურმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ვინაიდან დადგინდა, რომ დავა ეხებოდა საკუთრების ობიექტს – პატენტს და არა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას, სათანადო მოპასუხედ ”საქპატენტის” ნაცვლად. მიჩნეულ იქნა პატენტმფლობელი გ. ხოშტარია. ”საქპატენტი” პროცესის მხარედ დატოვებულ იქნა როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. საქმე არ იქნა მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად და განსახილველად გადაეგზავნა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად.

სამოსამართლო პრაქტიკის აღნიშნული მაგალითი მკაფიოდ წარმოაჩენს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების პროცესუალურ ორგვაროვნებას ”გარდა ისეთი ობიექტებისა, რომლებზეც უფლების მოპოვება ადმინისტრაციულ პროცედურებს უკავშირდება”.

ზემოთ მოცემული ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა.

1. ადმინისტრაციულ ორგანოს “მაგალითად “საქპატენტს””, რის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით ედავება განმცხადებელი, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია.

2. როდესაც მოდავე მხარე მესამე პირი ხდება, რომელიც ითხოვს გაცემული პატენტის, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის და სხვა ობიექტის, რომლებიც ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს გაუქმებას, მაშინ დავა სამოქალაქო-სამართლებრივია. ამ შემთხვევაში მოპასუხედ მხოლოდ მესაკუთრე “პატენტმფლობელი, ნიშნის მფლობელი” უნდა დასახელდეს და არავითარ შემთხვევაში “საქპატენტი”.

ცალკე გვინდა შევეხოთ ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარე განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას. დასაწყისში ვახსენეთ, რომ თავის დროზე განსჯადობის საკითხი მწვავედ იდგა სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ საფრანგეთში, გერმანიაში და ა.შ.

საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ პატენტის გაცემისა და სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებული დავები ცალსახად იქნა “ტრიბუნა დე გრანდე ინსტანცი”, რომლებიც ჩვენი საოლქო სასამართლოს ანალოგიურ სასამართლოებს წარმოადგენს. საქმის განხილვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას აქვს დავალებული.

გერმანიაში საქმე სხვაგვარად გადაწყვდა. კონსტიტუციის 96-ე მუხლზე დაყრდნობით შეიქმნა სპეციალური საპატენტო სასამართლო, რომელიც იხილავს პატენტის გაცემის ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე საპატენტო უწყების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ განმცხადებელთა მიერ შემოტანილ ყველა დავას. ამასთან, საპატენტო უწყება არ გამოდის მოპასუხედ. უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ დავებს კი იხილავს მიწების “ლანდების” სასამართლოები პირველი ინსტანციით.

გერმანიის მაგალითი გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიზიარა ინგლისმაც, უმაღლეს სასამართლოსთან შეიქმნა სპეციალიზებული საპატენტო სასამართლო, რომელიც იხილავს პატენტებთან და სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებულ ყველა დავას, რომლებიც სამოქალაქო იურისდიქციას არის დაქვემდებარებული. ამ პრაქტიკას ამჟამად მისდევენ სხვა ქვეყნებიც, მათ შორის აშშ. ფაქტობრივად, ხდება სასამართლოების სპეციალიზაცია. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ ნებისმიერი დავის გადაწყვეტა ამ სფეროში მოითხოვს სპეციალურ, ცოდნას, მათ შორის ტექნიკურსაც, რის გარეშეც უმეტეს შემთხვევაში, საქმის სამართლიანი და დროული გადაწყვეტა ვერ ხერხდება. გერმანიაში პატენტის გაუქმებასთან დაკავშირებით, საქმები საპატენტო სასამართლოს შექმნამდე წლობით იჭიმებოდა, რადგან გაუთავებლად ინიშნებოდა სპეციალური ტექნიკური ექსპერტიზები ყოველ ინსტანციაზე საქმის განხილვისას. დიდი დროის გარდა ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანი სახსრების გაღებასაც მოითხოვდა ექსპერტების შრომის ასანაზღაურებლად.

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შეტანამდე საქართველოშიც გეზი, ფაქტობრივად, სპეციალიზაციისაკენ იყო აღებული “რაც სრულიად გამართლებულია”, რადგან ყველა საქმესთან მიმართებით განსჯადობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით იყო დაგენილი, დავებს პირველი ინსტანციით იხილავდა საოლქო სასამართლოები.

ჩვენი აზრით, საკითხი უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო პროცესით. დავების განხილვა დაეკისროს საოლქო სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს პირველი ინსტანციით – უფლებათა დარღვევის შესაბამისად სარჩელებთან დაკავშირებით. უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებით დავების განხილვა პირველი ინსტანციით უნდა დაეკისროს მხოლოდ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-

ას. საქმე იმიტომაც არ უნდა იყოს რაიონული სასამართლოს გადასაწყვეტი, რომ, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე სირთულეების გათვალისწინებით, ასეთი საქმეების განხილვისას სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება საეჭვოა მოსამართლის მიერ, რა გინდ მაღალი კვალიფიკაციისა არ უნდა იყოს იგი.

იმედია, უზენაესი სასამართლო პრაქტიკულ ინიციატივას გამოიჩენს საკითხის მოსაწესრიგებლად, მით უმეტეს, რომ საკასაციო სარჩელის განხილვის შედეგად უცვლელად იქნა დატოვებული წინა ინსტანციის გადაწყვეტილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
4. საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი
5. საქართველოს საპატენტო კანონი
6. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
7. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ
8. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის, საოლქო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სასარგებლო მოდელის პატენტის "უკუხედვის სარკე" გაუქმებასთან დაკავშირებით.

მიღებულია: 12.11.2002